ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

სხდომის ჩატარების დრო:
23 დეკემბერი, 2025 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **გიორგი იობაშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გიორგი ჭიღვარია, მაგდა კოსტავა, ლაშა გვენეტაძე, მარეხი ნიჟარაძე, ამირან კოპალეიშვილი, ალეკო თამაზაშვილი, მამუკა სინაურიძე, კობა ფხაკაძე, იოსებ კუჭავა, თეკლა მებურიშვილი.

სულ: 11 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ოთარ ფანცხავა,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **მამუკა კუბლაშვილი**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **გიორგი სვანიძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;

2. ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩის N96-ში (ნაკვეთი N1) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **გიორგი იობაშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ოთარ ფანცხავამ.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ო.ფანცხავამ** აქვე განმარტა: „წინა სხდომის დროს თქვენს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება ვერ მოხდა გამომდინარე იქიდან, რომ ამ ეტაპზე პარამეტრები დაზუსტდა მხოლოდ 500 000 ლარით, რაც ინფრასტრუქტურულ პროექტებში გავითვალისწინეთ, ძირითად ცვლილებებს ველოდებით მაინც იანვრის ბოლოს, როდესაც 40 მილიონიანი ტრანსფერი იქნება, დარწმუნებული ვარ ამითაც არ შემოიფარგლება და თუ 2025 წლის ბიუჯეტი 192 მილიონამდე ავიდა, წელს ვფიქრობთ ავა 200 მილიონამდე, ძირითადად გაგაცნობთ იმ ქვეპროგრამების ცვლილებებს, სადაც პირველად პროექტში, ბიუჯეტი 0 ლარით იყო განსაზღვრული, გზებისა და ტროტუარების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება- ერთად 300 000 ლარით განისაზღვრა, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ავარიული სახურავების რეაბილიტაცია-200 000 ლარი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია- 250 000 ლარი, რიგ პროგრამებში თანხები შემცირდა და შესაბამისად გადანაწილდა სხვაგან, თუმცა საერთო ჯამში დიდ ცვლილებებს ველოდებით იანვრის ბოლოს.“

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭიღვარია:** „თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, ჩვენი მაჟორიტარების მოთხოვნილი საკითხებიდან, რომელი იქნა გათვალისწინებული?“

ბატონი **ო.ფანცხავა:** „ამ ჩამონათვალზე მსჯელობა გაიმართება იანვრის ბოლოს, ზემოხსენებული 40 000 000 ლარის დახმარების მიღების შემდგომ, ძირითადი სია თავმოყრილია ინფრასტრუქტურის სამსახურში და მე პირადად მათთან თანამშრომლობა ამ თემასთან დაკავშირებით ჯერ არ მქონია.“

კომისიის წევრი, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „შევეხები ჩვენთვის საყურადღებო თემას, ვიმედოვნებ, რომ როგორც გრანტის სახით, ისე რგფ-დან მიღებული დაფინანსებით განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალში მაჟორიტარების მიერ მოთხოვნილი საჭიროებებიც იქნება გათვალისწინებული. რა თქმა უნდა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს მხარს დავუჭერთ, თუმცა მომავალში აუცილებლად უნდა გვეთანამშრომლოთ მაჟორიტარებსაც.“

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე:** „დავეთანხმები ბატონ ამირანს, ვთანხმდებით, რომ ამ ეტაპზე ბიუჯეტში ვერ გამოიძებნება ჩვენს მიერ დაყენებული საჭიროებების საპირწონე თანხები, თუმცა განვმეორდები და ვიტყვი, როგორც კი გაჩნდება თანხები, თხოვნაა აღმასრულებელთან, რომ მაჟორიტარების მიერ დაყენებული საკითხები პრიორიტეტების მიხედვით განხორციელდეს.“

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-10 წევრი, თავი შეიკავა-**თეკლა მებურიშვილმა)** **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩის N96-ში (ნაკვეთი N1) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი ეხება ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავებას, რომელიც მდებარეობს წერეთლის ქუჩა N96-ში, გულისხმობს მერისათვის თანხმობის მიცემას, მენაშენემ დაიწყოს განაშენიანების დეტალური გეგმის დოკუმენტების მომზადება, ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1,6 ჰექტარს, იგეგმება შვიდი შენობის განთავსება, მათ შორის 2 შენობა 4სართულიანი, 2-5 სართულიანი და თითო-თითო 6-იანი, 7-იანი და 11-იანი, წარმოდგენილია პირველი ეტაპი და ხსენებული გულისხმობს ინიცირებაზე ხელშეკრულების დადებას.“

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „როგორც აღნიშნეთ ერთი კორპუსი იქნება 11 სართულიანი, მაინტერესებს რატომ მხოლოდ ერთი და არა ვთქვათ, ორი ან მეტი?"

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „ამ შემთხვევაში მენაშენემ ასე გადაწყვიტა, თან დამოკიდებულია კოეფიციენტებზეც, ასევე გასათვალისწინებელია რიონისპირა განაშენიანება, სადაც მაღალი კორპუსებით გადატვირთვა და რიონის ნაპირის ჯებირებში მოქცევა არაა მიზანშეწონილი, ამიტომ ვთვლი, რომ ეს სწორი მიდგომაა."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „თხოვნა მექნება თქვენთან, დავალებას რომ გასცემთ ანუ თანხმობას რომ მივცემთ მერს, ამის შემდეგ რა დავალებას ვაძლევთ, რა უნდა მოიტანოს, რა უნდა დაამუშაოს მენაშენემ, ჩვენც ჩაგვრთოთ ამ ნაწილში, ყურადღებას გავამახვილებ გზის ნაწილზე, აუცილებლად ჩაგვაყენეთ საქმის კურსში."

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „კომისიაზე შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი მოთხოვნები, როგორც წინა სხდომებზე იქნა შენიშვნები გათვალისწინებული ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა სატრანსპორტო სქემის, ასევე ჰიდროლოგიური დასკვნის წარმოდგენას, კიდევ თუ თვლით, რომ რაიმე დამატებით აქვს წარმოსადგენი მენაშენეს, შეგიძლიათ კომისიის სახელით მოიწეროთ."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭიღვარია**:„ ჯერ უმჯობესია გავეცნოთ ჩატარებულ კვლევებს."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.კოსტავა:** „ვინ ჩაატარა აღნიშნული კვლევები?"

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „როგორც სატრანსპორტო, ასევე გეოლოგიური კვლევები ჩაატარეს სპეციალისტებმა."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „თქვენი აზრით, ამ ტერიტორიაზე ტრანსპორტის გამტარიანობა რამდენად იქნება?"

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „დღის მონაკვეთში, რომელსაც ე.წ „პიკი საათს" ვუწოდებთ, ახლაც პრობლემაა აღნიშნულ ტერიტორიაზე, ჩვენ გვქონდა რეკომენდაციები მეორე ალტერნატიული გზის მოწყობასთან დაკავშირებით, რასაც კიდევ შევთავაზებთ მენაშენეს."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „ბატონო მამუკა, რამდენ ოჯახზეა გათვლილი ეს მშენებლობა?"

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „დაახლოებით 400 ოჯახზეა საუბარი."

კომისიის წევრი, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „ბოლომდე კომპეტენტურად არ ვთვლი ჩემს თავს ამ საკითხში, თუმცა ტრანსპორტის კვლევას რომ ვკითხულობდი, ნახსენებია, რომ დღესაც კი, გზის ამ კონკრეტულ მონაკვეთზე არსებობს სატრანსპორტო პრობლემა, იქნებ მე ვერ გავშიფრე სწორად, კიდევ რომ დავკონკრეტდეთ და სატრანსპორტო კოლაფსი თავიდან ავიცილოთ, არიან საქმის კურსში დაინტერესებული პირები, რომ მიიღონ მხედველობაში ამ პრობლემის აღმოფხვრა?"

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „სამსახურის მოსაზრებაა, რომ ალტერნატიულ გზაზე კვლავ მიეცეთ მათ რეკომენდაცია."

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე**: „ალტერნატიულ გზად რომელი მოიაზრება?"

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „ბალახვნის ხიდთან, ეკლესიისა და კერძო ნაკვეთს შორის არის 5 მეტრიანი გასასვლელი, რომელიც ცალმხრივი გზის მოსაწყობად საკმარისია."

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე**: „კულტურული მემკვიდრეობის პოზიცია რა არის ამ თემასთან დაკავშირებით?"

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „ეს ნაკვეთი იწყება ბალახვნის ცენტრში არსებულ მაღაზია „ორ ნაბიჯთან" და ძალიან დიდ ტერიტორიას მოიცავს, საპროექტო ნაკვეთიდან დაახლოებით 50 მეტრში, არის უკვე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებული ტერიტორია

ზემოხსენებული „ორი ნაბიჯის“ შენობა, რაც თქვენ ბრძანეთ მოგახსენებთ, რომ კულტურასთან ნამუშევარი აქვთ და არიან შეთანხმებული, ამ ეტაპზე გვაქვს წარმოდგენილი შვიდი შენობის მშენებლობაზე მოთხოვნა, თორემ მანამდე შემოსული დოკუმენტებით მოთხოვნები სხვა იყო, კერძოდ, საუბარი იყო 22-23 სართულიან შენობებზე, რომელიც ზედხედით გამოხატავდა ლათინურ ასობგერას „A“, რაზეც მენაშენეებს უარი ეთქვათ.“

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე**: „რიონისპირიდან 50 მეტრიან დაცვის ზონას ვიცავთ?“

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „ძირითადი გენგეგმა გადმოგზავნილი აქვთ და ახლავს დოკუმენტებს, 6 შენობის შემთხვევაში დაცულია 50 მეტრიანი არეალი რიონიდან, რაც შეეხება 11 სართულიან შენობას, დაახლოებით 30 მეტრიანი დაშორებით გვაქვს, ამიტომ მოვითხოვეთ ჩვენ ჰიდროლოგიური დასკვნა.“

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე**: „პოზიციურად გეთანხმებით და მივყვები იმ აზრს, რომ თუ ეს 50 მეტრიანი არეალი არ აზიანებს სანაპირო ზოლს ან საფრთხეს არ უქმნის ტერიტორიას, არ უნდა იყოს დაცული იმიტომ, რომ არქიტექტურულადაც და ვიზუალურადაც კონცეფცია უხდება, მაგრამ იმ ნაწილში, რომ სხვა შემოსული პროექტი შესაძლოა არ შევითანხმოთ იმიტომ, რომ ეს არეალი დაცული არ ექნება, ამ შემთხვევაში როგორ ჩავჯდებით სამართლიანობის ჩარჩოებში?“

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „მოგეხსენებათ, რომ ეს ტერიტორია არ არის გაუნაშენიანებელი, აქ იყო ძველი ღვინის ქარხანა, მიწისქვეშა მარანი და უფრო ახლოსაც კი იყო ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე არსებული შენობები რიონთან, ვიდრე ახლა იმ 6 შენობის აშენებაა განსაზღვრული.“

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭიღვარია**:„ჩვენ ვიდრე ამას საბოლოოდ მივიღებთ, კულტურული მემკვიდრეობის დასკვნაც ხომ გვექნება?“

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „რა თქმა უნდა, იქაც იქნება ეს გაგზავნილი.“

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **გ.ჭიღვარია**: „ასევე სატრანსპორტო თემას რაც შეეხება, ალტერნატიულ გზაზე იზრუნებენ ალბათ.“

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „ეს ადგილი არის ქალაქის არტერია, ცენტრალური ნაწილი, მხოლოდ აქედან გამომავალ 300-400 მანქანაზე არაა საუბარი, ვფიქრობთ თითოეულ თანაქალაქელს არ შეექმნას პრობლემა.“

კომისიის წევრი, ქალბატონი **მ.ნიჟარაძე**: „კანალიზაციას ცენტრალურზე აერთებენ?“

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „რადგან ძველი სამრეწველო ობიექტია, მათაც ქონდათ მოწესრიგებული, დიდი რაოდენობით ხდებოდა წყლის გამოყენება და ჩადინებაც გათვლილი იყო, ეს დოკუმენტი როდესაც შეთანხმდება, თქვენი თანხმობის შემდეგ გაფორმებულ ხელშეკრულებაში რა თქმა უნდა გათვლილი იქნება, სად დაერთდება კანალიზაცია, რა რაოდენობით იქნება წლის გამოდინება, მოხმარება და ასე შემდეგ, ამიტომ ვამბობ ძალიან ვრცელი დოკუმენტია, ბევრი კვლევისგან უნდა იყოს შემდგარი, რომ დაიმსახუროს ჩვენი მოწონება.“

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე**: „აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით რა არის ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია?“

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „მოგახსენებთ, რომ ეს ტერიტორია არის მოუვლელი, მოსახლეობა გულისწყრომას გამოთქვამს ამასთან დაკავშირებით, არიან ქვეწარმავლები, მღრღნელები და სუფევს ანტისანიტარია, იყო მომართვა, რომ მიგვეხედა ამ ეზოსთვის. რაც

შეეხება მოსახლეობის განწყობას ამ კუთხით მოგახსენეთ, მაგრამ კანონიც იცავს მოსახლეობას, დაცული იქნება ყველა მანძილი, რაც ნორმის ფარგლებში ჯდება."

კომისიის წევრი, ბატონი **მ.სინაურიძე**: „მაინტერესებს ვთქვათ იმ მიწის ნაკვეთების მეპატრონეებმა, რომლებიც დარჩნენ გზის მხარეს, გადაწყვიტეს გაერთიანება და მსგავსი პროექტით მშენებლობის განხორციელება, ამ შემთხვევაში მათ თუ ექნებათ სართულიანობის შეზღუდვა?"

ბატონი **მ.კუბლაშვილი**: „ეს ტერიტორია, ყოფილი ღვინის ქარხანა მოიაზრება ცენტრის ტერიტორიად, რაც შეეხება წინა მხარეს, არის საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც კოეფიციენტი არის 1,8. თქვენ იცით, რომ მიჯნის ზონის სიღრმეზეა დამოკიდებული სართულიანობა, იქ თუ ქუჩის პირზე დასვამს შენობას, წერეთლის ქუჩა არ არის იმხელა განის რომ 3-4 სართულზე მეტი სიმაღლის შენობა აშენდეს."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.
ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს** :

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩის N96-ში (ნაკვეთი N1) არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
გიორგი იობაშვილი